

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის
ინსტიტუტი

აცხადებს

ღია კონკურსს

შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

რადიოფიზიკური და ელექტრონული სისტემების მოდელირებისა და სისტემატექნიკის
განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ადგილების რაოდენობა - 1

თანამდებობრივი სარგო - 750 ლარი.

სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი

ფუნქციები:

1. ელექტრომაგნიტური, ელექტრონული, სისტემების და კვანძების დიზაინი, ანტენური სტრუქტურების შემუშავება, მოდელირება, სიმულაცია, პარამეტრული გამოკვლევა, S პარამეტრების დადგენა მეგაჰერცულ და გიგაჰერცული სიხშირეთა დიაპაზონში, პარამეტრული დიზაინი.
2. ანალოგური წრედების დიზაინი, მოდელირება, სიმულაცია, აწყობა, ტესტირება.
3. ელექტრონული სისტემების, ელექტრონული წრედების ელექტრომაგნიტური თავსებადობის კვლევა, მრავალპოლუსა სისტემების პარამეტრების სიხშირული მახასიათებლების კვლევა მოდელების შემუშავება, სიმულაცია;
4. სპეციალური დანიშნულების სენსორული მართვის, მიდევნების სისტემების შექმნაში მონაწილეობა;
5. კომპიუტერული მოდელების განვითარება, სიმულაცია, გამოთვლითი პროგრამული კოდების შექმნა, შედეგების დამუშავება და ვიზუალიზაცია;
7. საექსპერტო სამუშაოები: მასალების ელექტრომაგნიტური და ოპტიკური პარამეტრების კვლევა, ელექტროსტატიკური ანალიზი.

განათლება:

უმაღლესი, ფიზიკოსი.
მაგისტრი ან აკადემიური დოქტორი.

დამატებითი მოთხოვნები:

1. ფიზიკის, რადიოფიზიკის ან ელექტრონული და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულების უმაღლესი განათლების და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები.
2. მინიმუმ მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება.
3. ელექტრონული მოწყობილობების აწყობა გამართვის გამოცდილება.
4. მიკროკონტროლერების პროგრამირების გამოცდილება.(Arduino,..) მიკროსკოპი;

5. გამზომ ხელსაწყოებთან (ოსცილოგრაფი, სპექტრის ანალიზატორი, წრედის და გადამცემი ხაზების ანალიზატორები. Agilent, HP , Rohde&Schwarz) მუშაობის გამოცდილება.
6. ექსპერიმენტალურ დანადგარებთან მუშაობის გამოცდილება და მონაცემთა დამუშავების უნარი.
7. სასურველია ელექტროსარჩილავ ხელსაწყოებთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

კანონმდებლობის ცოდნა:

- „საქართველოს შრომის კოდექსის“ ზოგადი ცოდნა;
- სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის წესდება;
- „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი ცოდნა;
- უსაფრთხოების ტექნიკის დაცვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები.

ენების ცოდნა:

- ქართული ენის კარგად ცოდნა.
- ერთი უცხო ენის ცოდნა.

კომპიუტერის ცოდნა

- Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი - დამაკმაყოფილებლად ცოდნა.

კომპეტენციები:

პასუხისმგებლობის გრძნობა, გამართულად წერისა და მეტყველების უნარი, გუნდურად მუშაობის უნარი, შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა, კომუნიკაბელურობა, პროდუქტიულობა.

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- განცხადება არსებული ფორმის შესაბამისად;
- სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია/CV;
- ორი რეკომენდატორის: სახელი, გვარი: სამუშაო ადგილი; თანამდებობა; ტელეფონის ნომერი; ელ.ფოსტის მისამართი.
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები ;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
- ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ;
- ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
- პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;

შენიშვნა:

1. აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენლობა ან არაჯეროვანი სახით წარმოდგენა გამოიწვევს კონკურსანტის მოხსნას კონკურსიდან.
2. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და შემდეგ დასკანერებული სახით წარმოდგენილი.
3. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარმოდგენა).

კონკურსანტებმა განცხადება და მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, ელ. ფოსტის xlomidze@sipt.org.ge საშუალებით.

საათიდან 15 იანვრის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

- კონკურსი გაიმართება 17 იანვარს.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

I ეტაპი - განაცხადების გადარჩევა, რაც გულისხმობს კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენას ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

II ეტაპი - შერჩეული განაცხადების საფუძველზე მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტის გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.

შერჩევის მეორე ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა მონაცემებიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

გასაუბრებაზე კონკურსანტის დროულად არგამოცხადების შემთხვევაში, იგი მოიხსნება კონკურსიდან.

კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კონკურსანტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე

